აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
29 სექტემბერი, 2022
დადგენილება №11(22/23)

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების თაობაზე

სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N132/ნ ბრძანების 29-ე მუხლისა და სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, **უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. გამოცხადდეს არჩევნები სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად.
2. არჩევნები ჩატარდეს 2022 წლის 2 ნოემბერს.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 20 დღის განმავლობაში. რეგისტრაცია დაიწყოს 2022 წლის 6 ოქტომბერს და დასრულდეს 2022 წლის 25 ოქტომბერს 16.00 საათზე.
4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.
5. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, პირველი კორპუსი, ოთახი №1138, 12.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე.
6. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის მსურველებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
   ა) განცხადება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე;
   ბ) ბიოგრაფიული მონაცემები (CV);
   გ) სამოქმედო გეგმა;
   დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
7. დადგენილება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
8. დადგენილების განთავსება თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე) დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
9. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს.
10. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი